მედეა - თავისუფლების სიმბოლო ჟან ანუის დრამატურგიაში

თათია დავითაძე
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: tatia.davitadze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0007-7888-719X

აბსტრაქტი: მეოცე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, დრამატურგმა ჟან ანუიმ, რომელიც დაინტერესდა მედეას თემით, შემოგვთავაზა უკვდავი ტრაგედიის თავისებური ინტერპრეტაცია; მან შეინარჩუნა კლასიკური სიუჟეტის - მედეასა და იასონის ისტორიის ძირითადი ხაზი, მაგრამ მითის სიუჟეტებს და პერსონაჟებს უფრო ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განზომილება შესძინა; მის პიესაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონაჟების შინაგან კონფლიქტებს და მორალურ წიაღსვლებს. საფრანგეთში დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, როცა ასპარეზზე გამოდიან ეგზისტენციალისტები და აბსურდის თეორიის მიმდევრები, ანუიმ შექმნა ფაქტობრივად „აბსურდის“ დრამა, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირებს სიყვარულსა და ღალატს, თავისუფლებასა და მონობას/კომფორმიზმს, იდენტობასა და თვითშეფასებას, ცივილიზაციასა და ბარბაროსობას.

ანუის ,,მედეა'' თავისუფლების შესახებ გვიყვება და გვიხსნის, თუ რას ნიშნავს, იყო თავისუფალი და, შესაბამისად, ბედნიერი ამ კომპრომისულ სამყაროში, სადაც მხოლოდ თანამოაზრეებს იღებენ და იშორებენ ყველას, ვინც განსხვავებულად ფიქრობს. იასონიც იმიტომაა საბრალო კონფორმისტი და მოღალატე, რომ ის, უპირველეს ყოვლისა, ღალატობს თავისუფლებას, ჭეშმარიტ სიყვარულს. ამ ბინარულ დაპირისპირებაში იასონი ირჩევს მორჩილებას/მონობას და ამაოებას/კეთილდღეობას, მედეა კი - თავისუფლებას, რომელიც „ღმერთების ბინძურ თამაშებსაც“ არ ეპუება თავისი „საკმარისად ძლიერი სულით“.

სწორედ ასეთი მტკიცე, ძლიერი, ამაყი და თავისუფლებისმოყვარე პერსონაჟი - ჟან ანუის მედეა იქცა ევროპული ცივილიზაციის თავისუფლების სიმბოლოდ.

საკვანძო სიტყვები: თავისუფლება, ეგზისტენციალიზმი, აბსურდის დრამა, კონფორმიზმი, ბინალური ოპოზიცია, ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია.

* * *

ფრანგი დრამატურგი ჟან ანუი, რომელიც მეოცე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, დაინტერესდა მედეას თემით; მან შემოგვთავაზა უკვდავი ტრაგედიის თავისებური ინტერპრეტაცია, რომელიც 1946 წელს დაწერა და მთლიანად დააფუძნა ბერძნულ მითს მედეას შესახებ; მან შეინარჩუნა კლასიკური სიუჟეტის ძირითადი ხაზი, ანუ მედეასა და იასონის ისტორია, მაგრამ მითის სიუჟეტებს და პერსონაჟებს თანამედროვე ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განზომილება შესძინა, რადგან პიესაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონაჟების შინაგან კონფლიქტებს და მორალურ დინებებს. მართალია, ეს პიესა არ ითვლება ავტორის შემოქმედების მწვერვალად, მაგრამ ის თავის სათქმელს მაინც საინტერესოდ წარმოაჩენს.

პიესა იწერება იმ პერიოდში, როცა საფრანგეთში არეულობაა; ამ დროს კი ასპარეზზე გამოდიან ეგზისტენციალისტები და აბსურდის თეორიის მიმდევრები; სწორედ, ამ ორი ძალის ჭიდილში უწევს

ანუის პიესის დაწერა და ამიტომაცაა, რომ პიესაში ის ერთმანეთს უპირისპირებს: თავისუფლებასა და კომფორმიზმს, სიყვარულსა და ღალატს, იდენტობასა და თვითშეფასებას, ცივილიზაციასა და ველურობას. აშკარაა, რომ ამით ანუიმ შექმნა ,,აბსურდის'' პიესა და მედეაც ამ აბსურდის მთავარ გმირად აქცია.

პიესა იწყება გამთენიისას მედეასა და ძიძის დიალოგით; ისინი არიან სასახლიდან შორს, ფურგონში, ღია ცის ქვეშ. მედეა გაღიზიანებულია და აწუხებს ხმაური, რომელიც სასახლიდან ისმის, ძიძა კი ეუბნება, რომ ეს ხმაური მას იმიტომ აღიზიანებს, რომ ,,აქაური'' არ არის და ცდილობს, აუხსნას წესები: ,,ჩვენთან დღესასწაული უფრო ადრეა, ივნისში. გოგონები თმას ყვავილებით ირთავენ, ხოლო ვაჟები სახეს საკუთარი სისხლით იხატავენ და გარიჟრაჟზე, პირველი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, ბრძოლებს იწყებენ'' (ბერძენიშვილი, 2022: 357), ძიძის ასეთი რეპლიკა ავტორის ჩანაფიქრს წარმოადგენს, რათა მედეას ,,უცხოობას'' გაუსვას ხაზი.

ანუის პიესა ,,მედეა'' თავისუფლების შესახებ გვიყვება და გვიხსნის, თუ რა არის, სინამდვილეში იყო თავისუფალი და როგორია ამით გამოწვეული ბედნიერება; სწორედ, ამ მოტივზე ააგო მან მთელი პიესა. მისი პერსონაჟები არაფრით არიან გამორჩეულები, მედეას და იასონის გარდა; ისინი უბრალო, ყოფითი ადამიანები არიან. აქვე მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ სამყარო არის კომპრომისული და ამიტომაც ის ეკუთვნის ყველას, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების გარდა, ხოლო ვისაც განსხვავებული შეხედულებები ექნება, სამყარო მათ რიყავს.

ღალატის თემა სულ სხვა ჭრილში გვიჩვენა ავტორმა; აქ იასონი მედეას კი არ ღალატობს, არამედ ის ღალატობს თავისუფლებას; იასონი ამბობს შემდეგ სიტყვებს: ,,მაშ, შენ გგონია, რომ სხვა სიყვარულის საძებნელად გტოვებ შენ? ნუთუ გგონია, რომ ხელახლა დაწყება მინდა? მარტო შენ კი არ მძულხარ, სიყვარულიც მძულს!'' (ბერძენიშვილი, 2022: 377), - ეს სიტყვებია, სწორედ, დასტური იასონის უმეცრებისა, რადგან, მან აირჩია კომპრომისზე წასვლა და მშვიდი ცხოვრება მეფის ასულთან, სადაც მას ყველაფერი ექნებოდა, თავისუფლებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის გარდა.

მედეა ამ სამყაროსთვისაც მიუღებელია, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ის აქაც განსხვავებულად ითვლება - ის ირჩევს თავისუფლებას, იასონი კი - კეთილდღეობას. მწერალი ამ პერსონაჟებში ასახავს მეოცე საუკუნის ფრანგ ხალხს, რომლებმაც, იასონის მსგავსად, დაკარგეს თავისუფლება კეთილდღეობის გამო.

ანუის მედეა ძლიერი ქალია და თავისუფლების სურვილით შეპყრობილი, ამბობს: ,,მე მედეა ვარ, სულ მარტო, მიტოვებული ამ ფურგონთან; ამ უცხო ზღვის ნაპირას, გაძევებული, შერცხვენილი, შეძულებული, მაგრამ არაფერია მეტისმეტი ჩემთვის!. იმღერონ, სწრაფად იმღერონ თავიანთი საქორწინო სიმღერა! სწრაფად გამოაწყონ პატარძალი თავის სასახლეში. ქორწინებამდე მთელი გრძელი დღეა... აჰ! იასონ, შენ ხომ მიცნობ მე, შენ იცი, როგორი ქალიშვილი ჩაიბარე კოლხეთში. და რა გგონია? რომ ტირილს დავიწყებ? შენ მოგყვებოდი სისხლით და დანაშაულით, ახლაც დამჭირდება სისხლი და დანაშაული, რომ გამოგეთხოვო'' (ბერძენიშვილი, 2022: 365).

იასონი კი უსუსური მაჩანჩალაა, რომელიც დანებდა ცხოვრებას, ის იბრძვის მონობისთვის, მის მიერ წარმოთქმული სიტყვაც ამას ადასტურებს: ,,მინდა, მორჩილი ვიყო. მინდა, რომ ამ სამყარომ, ამ ქაოსმა, რომლის გავლით შენ ხელჩაჭიდებულს მიგყავდი, შეეძინოს საბოლოოდ ფორმა. შენ უეჭველად მართალი იყავი, როცა ამბობდი, რომ არ არსებობს არც გონება, არც სინათლე, არც მოსვენება, რომ სულ საჭიროა აფათურო სისხლიანი ხელები, უნდა დაახრჩო და შორს მოისროლო ყველაფერი, რასაც ვერ შეიპყრობ; მაგრამ ახლა მე მინდა, გავჩერდე, მინდა, ადამიანი გავხდე'' (ბერძენიშვილი, 2022: 388).

საბოლოოდ კი იასონის ბრძოლა მედეასთან, მისი მხრიდან, გავს ღმერთთან ბრძოლას, რადგან მას ისე უყვარდა, როგორც კაცს უყვარს ქალი, ახლა კი, რადგან მიხვდა, რომ მედეა ღმერთია, იწყებს თავის გადარჩენას.

მედეა ანუისთან უძლეველ კრეონსაც კი ამხელს და მიანიშნებს, რომ მეფე რომელიც არ არის სასტიკი და დაუნდობელი, ვერ იქნება ქვეყნის კარგი მმართველი; რადგან კრეონი ვერ კლავს მედეას, პირიქით ის ტყუვდება და მიიჩნევს, რომ მედეა უკვე ვერაფერს იზამს და რომ მისი დიდება დასრულდა; რა თქმა უნდა, აქ მწარედ ცდება კრეონი, რადგან მედეა მას ემუქრება: ,,მე მედეა ვარ, ბებერო ნიანგო! მე ზუსტად ვწონი, ღმერთებს თუ უნდათ, შეუძლიათ, უფრო გაგიგონ. კარგი და ცუდი მეც გამეგება. ვიცი, რომ ნაღდით გვიწევს გადახდა, რომ ყველა დარტყმა მშვენიერია და რომ თავი უყოყმანოდ უნდა დაიცვა. და, რაკი სისხლი გაგიცივდა, ჯირკვლები მოგიკვდა და იმდენად მოეშვი, რომ ეს ღამე მაჩუქე, ეს ძვირად დაგიჯდება!'' (ბერძენიშვილი, 2022: 374). რა თქმა უნდა, მედეა ამ მუქარას ასრულებს კიდეც.

მწერალი იასონს და მედეას წარმოგვიდგენს ერთ მთლიანობად; მიუხედავად იმისა, რომ მედეამ ბევრჯერ სცადა, იასონისთვის ეღალატა სხვა კაცებთან, ის მაინც იასონზე უზომოდ შეყვარებული ქალია, რომელსაც შეეძლო იასონის მოკვლა, მაგრამ ვერ მოკლა, სწორედ ამ დიდი სიყვარულის გამო: ,,შენ დაამთავრე. შენ განიწმინდე. შენ ახლა შეგიძლია, წახვიდე. მშვიდობით, იასონ!'' (ბერძენიშვილი, 2022: 391), - ამ სიტყვებით გაუშვა მედეამ იასონი.

ნაწარმოები შთამბეჭდავად სრულდება - მედეა ბავშვების ხელით იასონის ახალ სიყვარულს უგზავნის სკივრს, სადაც არის მოჯადოებული მოსასხამი და, როგორც კი ეს სკივრი იხსნება, სასახლეში კვდება ყველა და მთლიანად იწვება ყველაფერი; ანუი ამ მომენტს განსაკუთრებით დრამატულად გადმოგვცემს: ,,მოირბინა კრეონმა, უნდოდა, აეყვანა, მოეშორებინა საბურველი და ოქროს სალტე, მაგრამ, როგორც კი შეეხო, ისიც გაფითრდა, ერთ წამს შეყოვნდა, საშინელება ჩაუდგა თვალებში, შემდეგ დაეცა, ტკივილისგან ღმუოდა. ახლა გვერდიგვერდ წვანან, გადასკვნილები, სასიკვდილო კრუნჩხვებით სული ამოსდით და ვერავინ ბედავს მათთან მიახლოებას'' (ბერძენიშვილი, 2022: 394). ამის შემდეგ კი, როცა შურისმაძიებლები მედეასთან მოდიან, იგი მათ ახვედრებს უზარმაზარ ცეცხლს, რომელიც უკიდია ფურგონს, სადაც მედეას მიერ უკვე დახოცილი ბავშვები იწვებიან და მედეა, რომელიც უკანასკნელად მიმართავს იასონს: ,,ისინი მკვდრები არიან, იასონ! მკვდრები არიან, დავხოცე ორივე და სანამ ნაბიჯს გადმოდგამ, ეს რკინა მე განგმირავს. ამიერიდან მე დავიბრუნე ჩემი კვერთხი, ჩემი ძმა, ჩემი მამა და ოქროს საწმისი დაბრუნდა კოლხეთში: მე ხელახლა ვიპოვე სამშობლო და ქალწულობა, შენ რომ მომტაცე. როგორც იქნა, მედეა ვარ სამარადისოდ!'' (ბერძენიშვილი, 2022: 397). ამ საქციელით მედეა ეუბნება იასონს, აბა, სცადე და დამივიწყეო, რაზეც იასონი პასუხობს რომ ასეც მოიქცევა და დაივიწყებს ყველას და ყველაფერს, რაც მედეას სახელს უკავშირდება: ,,დიახ, მე შენ დაგივიწყებ. დიახ, მე ვიცოცხლებ, მიუხედავად ამ სისხლიანი კვალისა, შენ რომ დატოვე ჩემს გზაზე; ხვალიდან მოთმინებით ისევ დავიწყებ ჩემი კაცობის საბრალო ხარაჩოების აგებას ღმერთების გულგრილი მზერის ქვეშ'' (ბერძენიშვილი, 2022: 397). ის, მართლაც, ასე იქცევა, დაელოდება, ყველაფერი როდის იქცევა ფერფლად, მერე კი მიდის სასახლეში და იწყებს ახალი კანონმდებლობების შემუშავებას.

ნაწარმოები სრულდება ძიძის და მცველის დიალოგით, რომლებიც საუბრობენ მოსაწყენ ყოველდღიურ რუტინაზე, როგორიც არის ყავის მოდუღება, სარეცხის დარეცხვა, ვახშმის მომზადება და სხვა, მაგრამ მათ ახარებთ ფაქტი, რომ აქვთ პურის უხვი მოსავალი და, რაც მთავარია, ექნებათ ,,პური'', სხვა ყველაფერი კი მათთვის უმნიშვნელოა.

პიესის მთავარი სათქმელი იყო ის, რომ სამწუხაროდ უმრავლესობას არ უნდა თავისუფლება, რომელიც მოითხოვს მუდმივ ბრძოლას; მათთვის მთავარია, არ აკლდეთ ,,პური'' და იყვნენ მშვიდად მონობაში.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟან ანუის ,,მედეა'' ფრანგულ სამყაროში იქცა ევროპული ცივილიზაციის ,,თავისუფლების'' სიმბოლოდ. სწორედ, ამიტომაა, რომ მას დღემდე ევროპელი მხატვრები ხატავენ ხმლით ხელში, მაგრამ - შიშველს.

მედეასა და კრეონის დაპირისპირება პიესაში წარმოადგენს ძალაუფლების ორი განსხვავებული ბუნების შეჯახებას. კრეონი განასახიერებს სახელმწიფოებრივ, პრაგმატულ ძალას, რომელიც წესრიგის სახელით მზადაა დათმობაზე წავიდეს, ოღონდ კი თავიდან აიცილოს ქაოსი. თუმცა, მედეას „შიშველი“ სიმართლე ამხელს კრეონის უსუსურობას; ის აჩვენებს, რომ მეფე, რომელიც საკუთარ სიმშვიდეს მედეასნაირ „საშიშ“ ელემენტთან მოლაპარაკებით ეძებს, უკვე დამარცხებულია. ანუისთან მედეა არ არის უბრალოდ განდევნილი ქალი, ის არის სინდისის ის უხერხული ხმა, რომელიც კომფორმისტულ საზოგადოებას ახსენებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და იმ სისხლიან გზას, რომლითაც მათ დღევანდელ კეთილდღეობამდე მოაღწიეს. მისი არსებობა კორინთოს კარიბჭესთან არის მუდმივი პროვოკაცია, რომელიც ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ააგო ბედნიერება სხვისი ტრაგედიის დავიწყების ხარჯზე.

ანუის დრამატურგიული ხედვა მედეას სახეს გარდაქმნის აბსოლუტური ამბოხის სიმბოლოდ, რომელიც უპირისპირდება არა მხოლოდ იასონს, არამედ თავად ყოფიერების ბანალურობას. თუკი ევრიპიდესთან მედეა ღმერთებისგან ნაბოძები ეტლით ტოვებს სცენას, ანუისთან მისი გაუჩინარება გაცილებით უფრო მიწისმიერი და, იმავდროულად, მეტაფიზიკურია. მისი თავისუფლება არ არის საჩუქარი ზეციდან, ის არის პირადი არჩევანი, რომელიც მოითხოვს ყოველგვარ მიწა-წყალზე, სოციალურ სტატუსსა და დედობრივ ინსტინქტზეც კი უარის თქმას. მედეას თავისუფლება დესტრუქციულია, რადგან ის არ ცნობს „ოქროს შუალედს“. მწერლისთვის მედეა არის ის ურყევი ძალა, რომელიც ამჟღავნებს სამყაროს სიმყიფეს და იმ ფასს, რომელსაც ადამიანი იხდის საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისთვის.

იასონის პერსონაჟი კი, ამ კონტექსტში, განასახიერებს მეოცე საუკუნის „მოთვინიერებულ“ ადამიანს, რომელმაც თავისუფლების ტვირთს კომფორტი და უსაფრთხოება ამჯობინა. მისი სურვილი, „გახდეს ადამიანი“ და ააგოს „საბრალო ხარაჩოები“, სინამდვილეში არის კაპიტულაცია ცხოვრების აბსურდულობის წინაშე. იასონი ცდილობს წარსულის სისხლიანი კვალი წაშალოს და რაციონალური წესრიგით ჩაანაცვლოს, მაგრამ ანუი გვაჩვენებს, რომ ასეთი წესრიგი მხოლოდ ილუზიაა. მედეასთან დაპირისპირებაში იასონი აგებს არა ფიზიკურად, არამედ სულიერად — იგი რჩება ცარიელ სამყაროში, სადაც კანონები და მშვიდობა მხოლოდ შინაგანი სიცარიელის ნიღაბია, ხოლო მედეა, თუნდაც სიკვდილის ფასად, ინარჩუნებს თავის მთლიანობას.

განსაკუთრებით საგულისხმოა ცეცხლის მეტაფორა, რომელიც პიესის ფინალში განწმენდისა და საბოლოო გათავისუფლების ფუნქციას ასრულებს. მედეას მიერ დანთებული ხანძარი არ არის მხოლოდ შურისძიების იარაღი; ეს არის სიმბოლური აქტი, რომლითაც იგი წვავს ყველაფერს, რაც მას „ნორმალურ“ სამყაროსთან აკავშირებდა. ცეცხლი აქცევს ფერფლად იასონის ახალ ცხოვრებას და მედეას ძველ ტკივილებს, რითაც გმირს საშუალებას აძლევს, დაიბრუნოს თავისი „ქალწულობა“ და კოლხური იდენტობა. ეს არის პარადოქსული გათავისუფლება — საკუთარი თავის განადგურებით საკუთარი არსის პოვნა, რაც ანუის შემოქმედებისთვის დამახასიათებელ ტრაგიკულ ოპტიმიზმს უსვამს ხაზს: ადამიანი თავისუფალია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აღარაფერი აქვს დასაკარგი.

საბოლოო ჯამში, ჟან ანუის მედეა გვევლინება როგორც „აბსურდის გმირი“, რომელიც აცნობიერებს სამყაროს უაზრობას და თავად ხდება ამ აბსურდის მართვის სუბიექტი. მისი გადაწყვეტილება, მოკლას შვილები და საკუთარი თავი, არ არის სიგიჟის გამოვლინება, არამედ ეს არის უკანასკნელი პროტესტი იმ სამყაროს წინააღმდეგ, სადაც ყველაფერი იყიდება და ყველაფერი იცვლება. იასონის მიერ არჩეული „სიცოცხლე ნებისმიერ ფასად“ მედეასთვის სულიერ სიკვდილს ნიშნავს, ხოლო ფიზიკური სიკვდილი მისთვის ხდება ერთადერთი გზა უცვლელი, მარადიული იდენტობის შესანარჩუნებლად. ამით ანუი ხაზს უსვამს, რომ ევროპული ცივილიზაციისთვის

თავისუფლება არა მხოლოდ უფლებაა, არამედ მორალური პასუხისმგებლობაა, რომელიც ხშირად მოითხოვს ყველაზე ძვირფასის მსხვერპლად გაღებას.

პიესის დასასრულს ძიძისა და მცველის ყოფითი დიალოგი პურის მოსავალსა და რუტინაზე კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მედეას აქტის გრანდიოზულობას. ავტორი გვაჩვენებს, რომ სამყარო აგრძელებს არსებობას ტრაგედიის შემდეგაც, თითქოს არაფერი მომხდარა. ეს გულგრილობა არის აბსურდის თეორიის გამოძახილი — მასების მიერ არჩეული „პური“ ყოველთვის გადაწონის გმირის ინდივიდუალურ ამბოხს. თუმცა, სწორედ ამ რუტინულ ფონზე იკვეთება მედეას, როგორც თავისუფლების სიმბოლოს, უნიკალურობა. იგი რჩება უცხო სხეულად საზოგადოებაში, რომელიც მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებითა და ზედაპირული სიმშვიდით საზღვრავს საკუთარ ბედნიერებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჟან ანუის „მედეა“ არის გაფრთხილება თანამედროვე ცივილიზაციისთვის, რომელიც სულ უფრო ხშირად ამბობს უარს პრინციპულ თავისუფლებაზე მატერიალური კეთილდღეობის სანაცვლოდ. მედეას ხმლით ხელში, მაგრამ შიშველი წარმოჩენა ევროპულ ხელოვნებაში შემთხვევითი არ არის — ეს არის დაუცველობისა და უდიდესი ძალის სინთეზი. ის არის სიმბოლო ადამიანისა, რომელიც არ ეგუება მონობას, თუნდაც ეს მონობა „ოქროს საწმისით“ ან სამეფო გვირგვინით იყოს შემკული. მედეას სახე დღემდე რჩება ლიტერატურულ შეხსენებად იმისა, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება ყოველთვის მტკივნეულია, მარტოსულია და ხშირად მსხვერპლშეწირვას მოითხოვს, მაგრამ მხოლოდ იგი ანიჭებს ადამიანს მარადიულ იდენტობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი, 2022: ბერძენიშვილი ლევან, ,,მედეა'', გამომცემლობა ,,ინტელექტი'', თბილისი.

ბერძენიშვილი, 2023: ბერძენიშვილი ლევან, ,,ჩვენები'' (ქართველები ბერძნულ მითოსში), გამომცემლობა ,,არტანუჯი'', თბილისი.

გორდეზიანი, 2009: გორდეზიანი რისმაგ, ,,ბერძნული ლიტერატურა'', გამომცემლობა ,,ლოგოსი'', თბილისი.

გორდეზიანი.., 2005: გორდეზიანი რისმაგ, ტონია ნანა, ,,ანტიკური ლიტერატურა. გამომცემლობა ,,ლოგოსი'', თბილისი.

ელიადე, 2009: ელიადე მირჩა, ,,მითის ასპექტები'', გამომცემლობა ,,ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი'', თბილისი.

ევრიპიდე, 2017: -ევრიპიდე ,,მედეა'', გამომცემლობა ,,ლოგოსი'', თბილისი.